№ 153
ხუთშაბათი, 20 ივლისი 1895

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 153
ხუთშაბათი, 20 ივლისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთ „მშაკის" რედაქცია აუწყებს გარდაცვალებასა „მშაკის" გამომცემელის

**მარიამ ყარამანის ასულის ალამალიანისას.**

გარდაცვალებულს წაასვენებენ „მშაკის" რედაქციის სადგომიდან ვანქის სობოროში—ხუთშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზედ და იქიდან ხოჯავანქის სასაფლაოზე. (2—უ—2).

## განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოც-და-ცამეტი (53) ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 36, (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში 11, (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის), მესამე განყოფილებაში 1 (9 და 10 წლის ყმაწვილ.) და მეოთხეში 5 (10 და 11 წლის ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი არ არის თავისუფალი ადგილი.

2) 53 ვაკანსიისაგან 49 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ და ერთი (1) სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი, ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4) ვისაც ჰსურს, მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები:

ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, ღ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა, ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედგან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდგან.

8) შესაძლოა მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელ მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 20 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянскою Школой, на Лабораторной ул., въ д. Гургинбегова.

10) მარიამობისთვის 23, 24 და 25 რიცხვებს მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში შემოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{95}/_{96}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

(5—1).

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ, 19 ივლისს, დილით მცხეთასა და ავჭალას შუა დროებითი ხიდი გააკეთეს, რომელზედაც მატარებლები პირ-და-პირ ივლიან; მაგრამ რკინის გზის მმართველობა აფრთხილებს მაშინისტებს, რომ წყნარად ატარონ მატარებლები ამ დროებით ხიდზედ. საათში მატარებელმა სამს ვერსზედ მეტი მანძილი არ უნდა გაიაროს, როდესაც ხიდზედ გაივლის.

*** ამ დღეებში გარდაიცვალა აგრონომი ვ. დ. ინანიშვილი, რომელმაც სწავლა საზღვარ-გარეთ დაასრულა და იმ დროს დაიწყო სამსახური ჩვენს მხარეში, როდესაც ჩვენის აგრონომების ჩამოთვლა თითებზედ შეიძლებოდა. სამსახურისა დიდი ერთგული იყო და გარდა ამისა მხურვალე მონაწილეობას იღებდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საქმეების წარმოებაში, რომლის საბჭოს წევრადაც იყო ერთს დროს. ამ ბოლო წლებში განსვენებული კახეთს აფრთხილებდა, რომ იქ ფილოქსერა არსაიდგან შეეტანათ და ამ მხრივ არავითარს შრომას არ იშურებდა, რომ ხალხი დაერიგებინა, სასარგებლო სამეურნეო რამ ცოდნა გაეზიარებინა მათთვის. განსვენებულმა ქართული მშვენივრად იცოდა, გარდაიცვალა 44 წლისა და დასაფლავებულ იქმნა გუშინ, 19 ივლისს.

*** 17 ივლისს, ორშაბათს, ტფილისში მგელი ჩამოვარდა საიდგანღაც დილის $7^1/_2$ საათზედ. მგელმა მარდანოვის სახლის ეზოში შეირბინა, დიდს წყლის საზიდს ქუჩაზედ, იმ ადგილას, საცა პოლიციის მესამე განყოფილებაა. ამ დროს ეზოში მოსამსახურენი ყოფილიყვნენ. ძაღლი, რომელიც ეზოში იყო, ყეფით მიჰვარდა მგელს; მოუბრუნდა მგელი ძაღლს და დაჰკბინა. ამ დროს ეზოში ქუჩის დარაჯები შეცვივდნენ უნდოდათ მოეკლათ მგელი, მაგრამ იგი მაშინ-

## ფელეტონი

—

* *

მოჩახჩახებს, მოჩხრიალებს
ცივი წყარო კლდიდამ კლდეზე,
ძირს ალერსით დასტრიალებს
ვარდ-ყვავილებს მწვანე ველზე;
მიდამოს ჰრწყავს გულ-შემკობილს,
ეტრფის, ჰკოცნის ქორფა ყანებს,
შეჰკასკასებს ცას მოწმენდილს
და უფსკრულში მიჰკაკანებს.
იქვე მგოსანს, დაღონებულს,
ულილინებს ტკბილად „ნანას"
და ოცნებით გატაცებულს
ეუბნება გამოცანას:
„აბა, მარქვი: ის ვინ არის,
სიკვდილს შემდეგ რომ არ კვდება,
ვინც მოძმეა გულ-დამწვარის,
ვინც თავისს ერს თავს აკვდება?
ვინც რომ სული, გული, გრძნობა
ქვეყნისათვის აამგერა,
ვისაც მზაკვართ თანაგრძნობა
არც უნდა და არცა სჯერა?
ვინც სიცოცხლეს აჰყვავებულს
ქვეყნის ბედში ეძებს, ჰსახავს,
ვინც სამშობლოს, დაღონებულს,
ციურ ხმებით ხსნას უსახავს?
ვისაც თვით ცამ მისცა ჩანგი,
მიანიჭა ალმა ფრენა,
ვისაც ბულბულს უჯობს ანგი,
თაფლს და შაქარს—ტკბილი ენა?
ის ვინ არის, ვისაც გვირგვინს
სამუდამოს მთვარე უწნავს,
მზე-დიადი უქსოვს პორფირს,
ვარსკვლავთ გუნდი გულ-მკერდს ურთავს?
ვისაც მხოლოდ მზე და მთვარე
უკრთის ძმათა სიყვარულში,
ვისაც კუბო და სამარე
დადგმული აქვს ხალხის გულში?
ვისაც მარად თვისს სიუხვეს
არ უძლვნის ვარდ-ყვავილებს,
და ნიავი ყოველს ქვეყნებს
მასს სიყვარულს უნაწილებს?
მგოსანი სდუმს.., ცრემლის ღვარი
უერთდება წმინდა ჰევლსა,
ხმას ვერ იღებს გულ-დამწვარი,
ვერ ჰხსნის ადვილს ასახსნელსა!..
„ეგ შენა ხარ! უხსნის წყარო,
შენ ხარ, ზეცის სიყვარულო,
წმიდა გრძნობათ საბაღნარო,
ხალხთან ღმერთის მოციქულო!..."
მირბის წყარო... გულით დამტკბარს
ეტრფის, ჰკოცნის ველს და ყანებს,
სხივებს ჰპარავს ციურს ლამპარს
და უფსკრულში მიჰკაკანებს!..

გრ. აბაშიძე.

### ფუჭი ლაპარაკი.

(შჩედრინის ზღაპარი).

ახლა როდიღაა და იყო-კი ისეთი დრო, როცა დამსახურებულ დიდკაცობაშიაც გამოერეოდა ხოლმე ვოლტერის ჭკუის ამყოლი ადამიანი. თითონ უმაღლესი მთავრობა ამ მოდას ეტანებოდა და წარჩინებულები მთავრობის ფეხის ხმას აჰყოლოდნენ.

აი, სწორედ ამ დროს, შენ ხარ ჩემი ბატონი, იყო და არა იყო-რა, იყო ერთი გუბერნატორი, რომელსაც ბევრი არა სწამდა-რა ისეთი, რაც სხვებს გულ-ალალად სწამდათ და სჯეროდათ. თავი და თავი-კი ის იყო, რომ არ გაეგებოდა, რისი მაქნისია და რისთვისაა დაწესებული გუბერნატორის თანამდებობა.

სამაგიეროდ ამ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლ-მარშალს ყოველისფერი სჯეროდა და,—გუბერნატორის თანამდებობა რისი მაქნისია, წყალივით იცოდა.

და აი, ერთხელ დასხდნენ ესენი, შენ ხარ ჩემი ბატონი, გუბერნატორის კაბინეტში და შებაასდნენ.

— ჩვენში დარჩეს, სხვაგან აბა რა გასამხელიაო, და ამისი-კი სწორედ არაფერი მეყურება,—ბრძანა გუბერნატორმა: ჩემის ფიქრით, რაც-კი გუბერნატორები ვართ, სულ ერთიანად რომ გაგვაუქმებდნენ, წყნარად და პატიოსნად, ამ გაუქმებას ვერც-კი გაიგებდა ვინმეო.

— ახ, თქვენო აღმატებულებავ, რას ბრძანებთ, რა სათქმელია!—მიუგო გაოცებულმა და ცოტა არ იყოს შეშინებულმა წინამძღოლმა.

— რა თქმა უნდა, მე ამას საიდუმლოდ მოგახსენებთო... მაგრამ, თუ სვინიდისის ქვეშ ვილაპარაკებთ, ისევ უნდა გავიმეორო, რომ ამისა სწორედ არაფერი გამეგება! წარმოიდგინეთ: სცხოვრობს თავისთვის წყნარად ხალხი, ღმერთი ახსოვს, დედოფალს პატივით ექცევა და უცებ, შენ ხარ ჩემი ბატონი, გაჩნდება... გუბერნატორი! საიდამ? როგორ? რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ ხელმწიფობააო,—ცდილობდა წინამძღოლი გუბერნატორის საგონებელში ჩაგდებას: უმაგისოდ როგორ იქნებაო. ზევით გუბერნატორი, შუაში მაზრის უფროსი, ქვეით გზირი და ნაცვალი. აქეთ-იქით კიდევ მხრების დასამშვენებლად თავმჯდომარენი, ჯარი და მხედრობაო...

— ვიცი. მაგრამ რისთვის? თქვენ ამბობთ, გზირი და ნაცვალიო. კეთილი. გზირი—ეს გლეხკაცობისათვის რომაა დაწესებული, ის გზირი,—მეყურება. ახლა, წარმოიდგინეთ: სცხოვრობს მისთვის გლეხი, ყანაში მუშაობს, ხნავს, ცელავს, მრავლდება, შენდება და, რაღა ბევრი გავაგრძელო, მიდის მისდამი მიჩენილის ცხოვრების გზა-კვალზედ. უცებ, საიდამღაც ქვემოდამ, ამოჰყო თავი გზირმა... რაო, რა მინდაო? რა მოხდა.

— არა მომხდარა-რა, ხოლო შესაძლებელია, რომ მოხდეს, თქვენო აღმატებულებავ.

— არა მჯერა. თუ-კი სცხოვრობს კაცი თავისთვის ტკბილად და უწყინარად, რისი მაქნისია გზირი და ნაცვალი? თუ-კი კაცი უწყინარად და მშვიდად ებრძვის თავისს გასაჭირს, ღმერთი ახსოვს, დედოფალს პატივით ექცევა, რა უნდა მოხდეს, შენი ჭირიმე, სიკეთის მეტი? ან-და რა უნდა გაარიგოს ამ შემთხვევაში გზირმა რა უნდა დასძინოს? მისცემს ღმერთი მოსავალს, იქნება მოსავალი, არ მისცემს ღმერთი მოსავალს, უმისოდაც იოლად წავლენ. რა შუაშია აქ გზირი: განა შეუძლიან თუნდა ერთი ღერი თავ-თავი შემატოს, ან მოაკლოს ძნას? არა, ის დაეცემა თავს, დაიფრინდება, არევს იქაურობას, ააწიოკებს, და, ვინ იცის, ეგებ ვირის აბანოშიც ამოაყოფინოს ვისმე თავი. ეს არის და ეს.

— ტყუილად ხომ არ ამოაყოფინებს, თქვე დალოცვილო,—უთუოდ დააშავებს რასმე!

— მაგრამ დამეთანხმეთ, ის რომ არ მოსულიყო, რაღაც ეშმაკად, უმისოდაც ყველაფერი თავისს რიგსა და წესზედ წავიდოდა და არც არაფერი დაშავდებოდა. ვირის აბანოში ხომ მაინც არავინ იჯდომილებოდა. ის კი გამოჩნდება, თუ არა, იმ წამსვე თან მოჰყვება რამე დასაშავებელი და დაშავებული.

— ახ, თქვენო აღმატებულებავ, გზირიც ხომ სხვა-და სხვა ნაირია! აი მაგალითად, ჩვენში...

— არა, გამიგონეთ. მე პირადობას არ ვეხები და არც ახირებულის მეტიჩრობით მსურს თქვენთან თავის მოწონება. გამოცდილებით ვიცი მაგ ჰანგები და, ასე გასინჯეთ, ჩემს თავ-

ვე ქუჩაში გამოვარდა, ქუჩის შესახვევში შეირბინა და მერე სრულიად გაჰქრა თვალთაგან. პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა სოკოლოვსკიმ ბრძანება გასცა პოლიციის ყველა ნაწილში, რომ როგორც კი გამოჩნდება სადმე მგელი, მაშინვე მოჰკლან. მგლისაგან დაგლეჯილი ძაღლი პასტერის ასაცრელ სადგურში გაგზავნეს. („კავკაზი“).

*** გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი ამ ჟამად ერთს მოთხრობასა სწერს, რომლის ერთი მოქმედებაც ოლქის სასამართლოში თურმე სწარმოებს. გრაფი ეხლა მოთხრობის იმ ნაწილის შემუშავებაშია, რომლისათვისაც იგი სხვა-და-სხვა საჭირო ცნობებს თურმე ჰკრებს საქმის ფორმალურად გამოსარკვევად იურიდიულის მხრივ ერთის მოსკოველ იურისტისაგან, რომელიც გრაფის მამულში „იასნაია პოლიანა“-ში იმყოფება ამ აზრით. გრაფი ამ ჟამად სრულიად განთავისუფლებულია ციებისაგანაო, ამბობს გაზ. «ნოვოსტი».

*** „ივერიის“ მე-149 ნომერში დაბეჭდილი გვქონდა შემდეგი დეპეშა „რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“: გაზეთი „სვეტ“ აცხადებს, რომ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს მომავალს სამოსწავლო წელს ხარკოვის, პოლტავის, კურსკისა და ვორონეჟის გუბერნიებში სავალდებულოდ გახადოს პირველ-დაწყებითი სწავლა.

იგივე დეპეშა დაბეჭდილია «რუსკ. ვედომ.»-ს მე-193 ნომერში იმ განსხვავებით, რომ აქ ტფილისის გუბერნიაც არის მოხსენებული.

ნეტავი, რას უნდა ნიშნავდეს ეს განსხვავება და რომელია მართალი?

*** ს. ფცა (ქართლი): ამ მოკლე ხანში აქ დიდი წვიმები იყო. ღამით ნიაღვრები მოვარდა, საწყალს გლეხებს სახლებში შეუვარდა და მრავალი ზარალი მისცა. წვრილი საქონელი წაიღო და მრავალი შედგრებული ყანა მიწასთან გაასწორა და ცალიერზედ დასვა საწყალი პატრონები.

*** ს. სანებელი, (ქართლი): გაზ. „ნოვ. ობოზ“-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომელშიაც კორესპონდენტი ამბობდა, რომ ამ სოფლის მღვდელმა მამა ლონგინოზმა იტვირთა თავისი ხარჯით აეშენოს სამრევლო სასწავლებელიო; მამა ლონგინოზი უკვე შესდგომია ამ განზრახვის ასრულებას და მალეც დააგვირგვინებს ამ კეთილს საქმეს. სასიამოვნოა, რომ ამ უკანასკნელ დროს სასულიერო წოდებამაც გამოიღვიძა ჩვენში და ფიქრობს თავისის ერის მომავალზედ.

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. ბორჩხა**, (ჭოროხის ხეობა). დიდი ხანია მას აქეთ, რაც რუს-ოსმალოს საზღვარზედ არ მომხდარა ამისთანა მკვლელობა, როგორიც იყო ამ სამის ღამის წინად მურღულის ხეობაში, საზღვართან. როგორც ამბობენ სოფლელები, თითქმის ნახევარ საათზედ მეტი გაგრძობილა გაღმა-გამოღმა თოფების სროლა, რომლის მსხვერპლად გახდა ორი ლაზი არჰავეს ოლქში მცხოვრები, (ოსმალოა). პლისტუნის ჯარის კაცთა და ლაზებს შორის ამნაირი თოფების სროლის მიზეზი აი, რა ყოფილა: როგორც მოგეხსენებათ, არჰავეს ოლქი ძალიან მწირი ადგილია, იქ ცოტა მოუდით ჭირნახული, რადგან ქვა-კლდიანი ნიადაგია. როგორც ამბობენ, ოც მოსახლეში ერთს ვერ ნახავთ, რომელსაც თავისი ნამუშევარი ჭირნახული წლიდგან წლამდე ჰყოფნიდეს და ირჩენდეს თავს უსყიდლად. აი, ამიტომაც იქაური მცხოვრები ლაზები უმეტეს ნაწილად სხვა-და-სხვა ქვეყნებში არიან დაფანტული, და იქ მოგებულ ორი გროშით ირჩენენ თავსა და ქალ-ბალანასაც. მაგრამ იმათში ერთი ის არის კარგი, რომ თხუთმეტის წლის ზედას კაცს იმისთანას ვერ შეხვდებით, რომელმაც რამე ხელობა არ იცოდეს: ან არის კარგი დურგალი და ან არა და კარგი თუთუნის მომყვანი, ასე რომ თითქმის ამ ორის ხელობით ირჩენენ ისინი თავს. რადგანაც მურღულის ხეობაი კარგი თუთუნის მოსავალი იცის, ამის გამო ისინი გადმოდიან ამ ხეობაში, იღებენ მიწას აქაურ მცხოვრებლებისაგან და სანახევროდ მოჰყავთ თუთუნი. ამნაირად სანახევრო თუთუნი ჰქონიათ იმ დახოცილ ლაზებს მურღულის ხეობაში; წამოსულა იქიდგან ხუთი კაცი, რომ თითო ტვირთი თუთუნი გადაეტანათ და გაეყიდათ ოსმალოში, რადგან აქ მყიდველნი არ სჩანდნენ და რომ ყოფილიყვნენ, მაინც ნახევარ ფასად მიჰქონდათ აქაურ გაიძვერა ჩარჩებს, რომელნიც ბლომად დაძვრებიან ხოლმე სოფლიდგან სოფელში, რათა მესამედ ფასად გამოსტყუონ ფუხარას ეს ერთად-ერთი სარჩო. რადგან აქედგან გამოჩენილად ვერ წაიღებდნენ ამ თუთუნს, იმათ ღამით მიჰქონდათ, რომ ყარაულებს არ გაეგოთ, მაგრამ ზედ საზღვართან წასწყდომოდნენ თავზედ დარაჯებს და ასტეხოდათ სროლა, რომელმაც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ორი კაცი შეიწირა. ამას გარდა, როგორც გვითხრეს მცოდნე კაცებმა, ამ ორის კაცის გარდა, ერთი მკლავში დაჭრილი ჩასულა თავისს სოფელში და ერთი-კი ჯერაც არ მისულა შინ. როგორც ფიქრობენ იმისი ნათესავები, ისიც მოკლული უნდა იყოს და ეგდოს სადმე ტყეში. დღემდის დღე და ღამ დაეძებენ, მაგრამ ჯერ ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი.

ი. ჯაიანი.

—

**ს. ავლევი**, (გორის მაზრა): აგერ ეს ორი წელიწადია, რაც ოდესის უნივერსიტეტში კურს დამთავრებულმა კოტე ამირეჯიბმა უფასო აფთიაქი გახსნა და მით ჩვენს სოფელს და მისს ხეობას დიდი დახმარება და სამსახური გაუწია. პატივცემული ახალგაზდა არამც თუ წამლებით აძლევ და დახმარებას ავადმყოფთ, არამედ ნივთიერადაც შემწეობას უჩენდა. ასეთმა მისმა გულ-მოწყალებამ მთელი ზემო ქართლი მიიზიდა და შარშან ზაფხულს (აფთიაქი მხოლოდ ზაფხულის სამს თვეს იყო ხოლმე ღია) სამოც ოთხმოცი კაცი მოდიოდა აფთიაქში.

წრეულსაც დაიმედებულნი ვყავით, რომ უთუოდ გაიხსნებოდა აფთიაქი კვლავინდებურად, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა, წრეულ ხსენებული პირი აღარ მოვიდა და, რასაკვირველია, მისი აფთიაქიც გაუხსნელი დარჩა. იგი ამ ჟამად პარისშია აგრონომიის (ხვნა-თესვის) შესასწავლად. ამბობენ, რომ ამ შემოდგომაზედ უთუოდ მოვა და სამეურნეო სკოლას გახსნის ჩვენს სოფელშიო. სწავლა, როგორც შევიტყევ, უსასყიდლოდ იქნება აქაურებზე თვით ამირეჯიბის ხარჯით და მზრუნველობით. უმთავრეს საგნად ხვნა-თესვისა და მეურნეობის შესწავლა ექნება სკოლას. სწორედ დიდად სასიხარულო და სანატრელია ასეთი საქმე, მეტად ჩვენში, რადგანაც მთელს ორს ფრონის ხეობაზე ერთი სკოლაც არ მოიძებნება. ქება-დიდება და კეთილად საქმის დამთავრება ამ კეთილშობილ ახალ-გაზდას. სწორედ დიდსა და დაუვიწყარს სამსახურს გაუწევს კ. ამირეჯიბი ჩვენს ქვეყანას ასეთი საქმით.

წელს ჩვენ სოფლიდგან გზატკეცილი გაჰყავთ რკინის გზის სადგურ გომამდის. დიდად საჭირო იყო აქამდისაც ამ გზის გაყვანა, რადგანაც ზამთრობით, როდესაც წვიმები და თოვლი დაიწყება, არამც თუ ფეხით, თვით ცხენითაც სჭირს გავლა. არა ერთხელ გვინახავს ტალახში ჩაფლული ურმები. იმედია, ეს გზატკეცილი ჩქარა დამთავრდება ლევან ამირეჯიბის დახმარებით, რომელიც დიდად სცდილობს ამ საქმისთვის.

ჩვენს სოფელში კარგი მოსავალია წელს. ჭირნახულები იმისთანა მოვიდა, რომ ამბობენ დიდი ხანია ამისთანა მოსავალი არ გვინახავსო. ვენახებს ხომ ისე ძალიან ასხია, რომ თუ ზეცამ არ გვიმტყუნა, ჭურჭელსაც ვეღარ ვიშოვით ჩასასხმელადაო.

ედილი.

## მაჭახლის გათათრება.

(ნაამბობი ს. ზაზარეთში და ძნელეთში მოხუცებულ მაჭმადიანის ძნელაძისა და სხვა მოხუცებულ მაჭმადიანებისაგან).

ლაზისტანის ოსმალნი ლივანაში შემოვიდნენ და აქედგან მაჭახელში. მაჭახელი მათ მაგრად და გულადად დახვდა; მაჭახლის ხალხი მეტად მაგარი და გაუტეხავი ხალხი იყო, ესენი ადვილად არ ჩაჰბარდნენ თათრებს, ბევრი იჩხუბეს, მაგრამ ბოლოს მაინც ჩაჰბარდნენ ოსმალებს. ვერაფერი გააწყეს. ოსმალთ მაჭახლელებს მალე გათათრებაც გამოუცხადეს; ეს ამბავი მაჭახლის ხალხს დიდად ეჯავრა. ამის გამო დაიწყეს ჭოჭმანობა და ბოლოს ოსმალოს წინააღმდეგ ჩხუბი ასტეხეს, გათათრება არ გვინდა. ოსმალთ ამაზედ ძლიერ ბევრი მაჭახლელები დახოცეს, მაჭახლელებიც ბევრს ხოცავდნენ ოსმალთ, მაგრამ საქმე მაინც მაჭახლელებს გაუჭირდათ, რადგანაც ოსმალ-

---

ხედაც შეიძლიან მაგალითი წარმოვიდგინოთ. მივდივარ, ვთქვათ, გუბერნიდამ,—და რას ხედავს ჩემი თვალი, რა მოხდა უცებ? გადავდგი ფეხი, თუ არა, საზღვარს და გავეცალე გუბერნიას, უცებ მოითქვა სული და გაიხარა მთელმა გუბერნიამ, მოეფინა მთელს გუბერნიას კეთილ-შეზავებული ჰაერი. აღარ დააჭენებს ცხენს პოლიცმეისტერი, აღარ დარბიან თავპირდამოგლეჯილი ბოქაულები, უკლებს გულ-მოდგინებას პოლიციელებმა. სულ უკანასკნელმა ადამიანმა, ასეთმა გულ-ალალმა და გულ-უბრყვილომაც-კი, რომ ჩემი ამ ქვეყნად არსებობაც არ იცოდა დაბეჯითებით —იმანაც იგრძნო, რომ იმის ყოფასა და სიცოცხლეს მოშორდა რაღაც ბრჯგუ, რომლისგანაც ატკივებული ჰქონდა მთელი სხეული და სხეულის ყოველი სახსარი. რას მოასწავებს ეს უცნაური სიზმარი? გეკითხებით მე თქვენ. იმას, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ ჩემ მაგიერს, ჩემ სამაგიეროდ დატოვებულს არ ძალუძს ჰქნას ყველაფერი ის, რისიც ქნელი გახლავარ მე, და, მაშასადამე, სამსახურის კაცსაც და მცხოვრებლებსაც ამ განსხვავების დაკვალ შემსუბუქება და შეღავათი დაეტყო. მაგრამ, აი, ისევ დავუბრუნდი ჩემს თანამდებობას. შეიქნა ისევ ერთი ღრიალი, ერთი კივინა, ფაცი-ფუცი, სირბილი... ვისაც ქუდი ეხურა, თავზე სამკუთხა ჩამოუკოსებია, ვინც ერთი თვე სასიამოვნოდ გაატარა, ისევ დალონებულა, ყველას ეხატება თვალ წინ განუწყვეტელი და გულგამწვავებული აჭია-ბაჭია.... მაგრამ რაღა ბევრი გელაპარაკოთ ამაზედ? უთუოდ თქვენს თავზედაც გამოგიცდიათ ცოტაოდენი მაინც.

მართლაც, წინამძღოლს გაახსენდა, რომ იმასაც სჭირდა ამგვარი ცოდვა. როგორც-კი გასცილდებოდა ხოლმე გუბერნატორი კარებს, იმ წამსვე წამოიძახებდა: „ჰეი, ბიჭო, შეაბიო!“ და გასწევდა სოფელში. იყო სოფელში და დადიოდა იქ არხეინად პერანგს ამარა, სანამ ისევ არ მოიწოდებდა მთავრობა მსახურებად. ოღონდ წასვლის ხანს, ვიცე—გუბერნატორის კარებს რომ ჩაუვლიდა, ერთ წამს თუ შეირბენდა. ისიც ხათრისათვის, და შეატყობინებდა:

— აბა, თქვენი ჭირიმე, არეფი ივანიჩ, თუ რამე მოხდა, აფრინეთ კაცი ჩემსკენო.

— რა უნდა მოხდეს! გზა დამილოცნიაო.

— აბა, მაშ, მშვიდობით. კაპიტოლინა სერგეევნა მომიკითხეთ. გასწი! ეს იყო და ეს იტყოდა და მოჰქუსლავდა.

— არც უმაგისობააო,—სთქვა წინამძღოლმა,—მაგრამ მიზეზი მაინც სხვა გახლავს... ერთი ცოტა მოისვენო, გინდა... და სარგებლობ კიდეც, დროს რომ იშოვნი.

— საქმეც ესაა, გინდა, „მოისვენო“! ჰო, და ვინ იყო, რომ არ მოგასვენა? განა მოსვენება ცოდვაა? სულაც არაა ცოდვა, და გიშლიდაკი, რაკი ის გუბერნატორია,—ესაა, მეტი არაფერი. ახლა სხვა ვთქვათ, ჩემო ბატონო. შეგინიშნავთ, თუ არა, როგორ ახსენებს გუბერნატორს კერძო კაცი, როცა ქების შესხმას მოუნდომებს? „კაი გუბერნატორიაო: ზის თავისთვის წყნარად, კაცს ხელს არ ახლებსო“. აგაშენოს ღმერთმა! მაშ, ეტყობა, რომ ყველაზედ უფრო სასიამოვნო მაშინ ყოფილა გუბერნატორი, თუ არაფერს აკეთებს,—იმდენად კეთილ-მოწყალეა. და მართლაც, განსაჯეთ სინიდისიერად, რაში უნდა გამოაჩინოს სიკეთე იმიმა ჩარევამ მცხოვრებელთა საქმეში? მოსულა გუბერნიაში, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვინმე უცხო და გადამთიელი, ეს ერთი; ეგებ უსწავლია რამე, მაგრამ კი არ უსწავლია, რაც საჭიროა,—ესეც მეორე. მერე: სტატისტიკა ირ იცის, ეთნოგრაფია არ ეყურება; ზნე და ჩვეულება კიდევ და რა იმისი ჭკუის საქმეა; სად რა წყალია, საით მიდის, რისთვის, რატომ, ეს ეგებ მაშინ გაიგოს, ხუთჯერ მაინც თუ ჩამოიარა სიგრძე-სიგანეზედ მთელი გუბერნია; რკინის გზაა, ჩემო ბატონო, და ის თუ იცის, როდის რომელი მატარებელი გადის, რომ, ვინიცობაა, დამჭირდეს,— არ დამაგვიანდეს და მივასწროო.. თორემ ის,—ან რისთვისაა ეს გზა გაყვანილიო, ან რამდენი შეუკრებიათ შარშან შემოსავალი, რამდენი წლეულს, ან სად რა შტოა გასაყვანი,—ჯანყითა და ბურუსითაა იმისათვის მოცული. ყოველისფრის შეტყობაც შეიძლება, ყოველგვარი ცნობებიც იქვე აქვს ხელში, მაგრამ ვისთვის რა საჭიროა. ან რა გამოდნებაო.

— ვაჭრობის თაობაზედ იტყვით კიდევ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, თუ რამ ხელოსნობის შესახებ: ეს მეწაღეობა ვარო, ეს ბოსტნეულობაო; ერთგან ჭილობს ჰქსოვენ, მეორეგან ცელსა და ნამგალს სჭედენ: —რისთვის, რათაო? ქოთანს ყური სად უნდა გამოაბან?

— თქვენო აღმატებულებავ! გააწყვეტინა სიტყვა შეთამამებულ გუბერნატორს წინამძღოლმა: მე ხომ აქაური გახლავარ, მაგრამ მაგისი მეც არაფერი მეყურებაო!

— თქვენ სხვა საქმეა, თქვენ წინამძღოლი ბრძანდებით. მოგართმევენ სუფრაზედ ბეჭს, რაში გეკითხებათ, საიდამაო. ოღონდ კი იქმებოდეს, მორჩა და გათავდა, მე-კი, გუბერნატორმა, მე ყოველისფერი უნდა ვიცოდე, ყოველისფერი მეკითხება. რომ არ ელი, იმ დროს შემოგეკითხებიან: რა მდგომარეობაშია შინა იმყოფებაო, მაგალითად, თქვენში ბოსტნეულობის საქმეო, როგორ ხართ მაგის თაობაზედაო?

— ჰო ახლანდელ დროში ყოველაფერს უნდა ელოდე ადამიანი.

— ახლა, ჩემო ბატონო, ყოველი ბისტი და მარჩილი ანგარიშში ჩასაგდებიაო და, თუ-კი სადმე რამ გამოდნება კიდევ, არ გამოგეპაროს, რომ აცნობო იქ,—რა ჰქვიან?—ხომ არ ინებებთ და არ დაადებთო ახალს გარდასახადს? აი, ასე გახლავთ ახლა,—ასეა და კიდევაც იწერები პასუხს, რომ, ნურას უკაცრავად, სასურველ ყოფას ჯერ კიდევ ბევრი უკლიაო.

— დიაღ, მაგრამ ჩვენებური კომპოსტო ხომ...

— საქმეც მაგაა „ჩვენებური კომპოსტოო“. მე-კი ოღონდ ახლახან შევიტყე მაგის შესახებ. ამას წინად ერთი ძირი მიჩვენეს, მეგონა, ალუჩიდამაა-მეთქი, თურმე პოზდეევკიდგან ყოფილა.

— დიაღ, პოზდეევკიდან გახლავთ, მართალია: იქ სტაფილოც ჩინებული მოდის, ბოლოკიც და ყოველი ბოსტნეულიც. ასე ყოველთვის ჩვენში. ჩვენ ემსსა და მარიენბადში დავდივართ წყლის სასმელად, და აგერ-კი, პოზდეევკაში, ჩვენი წყალი გვაქვს, იმაზედ უკეთესიც, იმიტომ რომ მარიენბადის წყალი კუჭს მოგიშლის.

— ჰო, და, აბა, მიბრძანეთ ერთი, პოზდეევკაში ვინ მოაშენა კომპოსტო? გუბერნატორმა? ვერ მოგართვით! გლეხის გაშენებული გახლავს, ჩემო ბატონო. იქნებოდა ოდესმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი თოფ-იარაღით იყვნენ და მაჰახლელებს-კი არაფერი ჰქონდათ. ბევრი ხოცვის შემდეგ ოსმალთ ხალხის ხოცვას თავი გაანებეს. ამათ სხვა ნაირის ოსტატობით დაუწყეს გათათრება. ვინც არ თათრდებოდა, იმას დიდს ხარჯს ადებდნენ, სამართალში უკან აყენებდნენ, მოწმად არსად იღებდნენ, უბრალო დანაშაულობის გამო სჯიდნენ, სულ უბრალო საქმის გამო მამულებს ართმევდნენ და იმ პირებს აძლევდნენ და ჰმატებდნენ, ვინც ახლად იყვნენ გათათრებულნი; ახალ გათათრებულ აღიობასაც აძლევდნენ, ზოგს ბეგიობასაცა. ასეთი საქმეებით გაავრცელეს აქეთ თათრობა და იმიტომ იტყვიან ამაზედ, რომ მაჰახელი ნებით არის გათათრებული და ნებითვე გაქართველდებაო.

მაჰახელში ძველად საკმარისად გამოჩენილი აზნაურის გვარი იყო ძნელაძეების გვარი. ესენი სცხოვრებდნენ სოფელ ძნელიეთსა და ბაზარეთში, ამათ ებარათ რამდენიმე სოფლის ხალხი და გამგეობა. ძნელაძეებს გარდა მაჰახელში სხვა აზნაურებიც იყვნენ. მაგალითად ქავთარაძეები, რომელნიც ადვილად გათათრდნენ და ამიტომ ოსმალთ ამათ ბეგიობა მისცეს. ისევე აზნაური ზაქარიაძეები, რომელნიც ბეგებად იქმნენ წოდებულნი და მრავალიც სხვა გვარის ხალხნი გათათრდნენ ადვილად. მაჰახელში თათრობა მოიფინა და სოფ. ძნელიათამდე და ბაზარეთამდე მიაღწია. აქ დაბარებულ იქმნა ჩვენის ძველების ერთი უფროსი ძნელაძე, დიდის მამულ-დედულის პატრონი, ამას გამოუცხადეს გათათრება იმ პირობითვე და იმ საჩუქრებით, როგორც სხვები გათათრდნენ. ძნელაძემ უთხრა:

— მე არც გავთათრდები და არც თქვენი საჩუქარი მინდა, ქრისტიანობას თათრობაზედ არ გავცვლი. ეს არას დროს არ იქნება. მე ამას ნუღარ მეტყვით, თორემ ჩხუბი მოხდება. თათრობა ამას ცუდი რამე ეგონა. ოსმალთ ძლიერ ეწყინათ და უთხრეს:

— კარგი, მაგრამ ბევრს შეგანანებთო. ძნელაძემ მიუგო:

— ნება თქვენი გახლდეთო! რამდენისამე ხნის შემდეგ ოსმალთ აუტეხეს დავა, დაუწყეს ცილის-წამება. ჰბრალდებოდა ტყუილად კაცის-კვლა, გაქურცვა, ახალ გათათრებულების შეწუხება და სხვანი. თავს მართლულობდა, მაგრამ უბრალოდ, ოსმალნი ძალიან სჩაგრავდნენ. ასეთის ბრძოლის გამო მას ხელიდგან წაუვიდა თავისის მამულების უმეტესი ნაწილი. ოსმალნი ეუბნებოდნენ:

— გათათრდით და ყველაფერს გაპატიებთ, ყველაფერს გაჩუქებთ. ძნელაძე ეტყოდა.

— გვარად ძნელაძე ვარ და საქმითაც ძნელაძე უნდა ვიქმნე. მე აი ეს ყელი და ენა რომ მომჭრათ, მაინც არ იქნება, არ გავთათრდები. სხვებს თუ ნებავთ ჩემს სოფლელებს გათათრდნენ, მე ნურავინ მერიდებაო. ამ კაცის მეგვარეებს და მოყმეებს დიდი მორიდება ჰქონდათ ამ პირისა; ამისი სცხვენოდათ და ვერ თათრდებოდნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ ესენიც გათათრდნენ, მალე გათათრდნენ თვით ამ კაცის ძმები და შვილებიც, მაგრამ ეს არ გათათრდა. ამის გამო იგი შეებრძოლა ოსმალთ და ამ ბრძოლის დროს მთლად დაკარგა თავისი მამულები და დარჩა ცალიერი. გაღარიბდა, გაღატაკდა, მაგრამ თათრობა მაინც არ მიიღო. ასეთს სიღატაკეში მყოფი ავად გახდა, სიკვდილზედ მივიდა. ამ დროს მაჰახელი მთლად გათათრებული იყო, მღვდლები აღარსად იყვნენ, იქიდამ გაუეკეს და ეკკლესიებიც დააქციეს. ზოგი ჯამეთ გადააკეთეს. ევფრატის ეკკლესიაც მაშინ დაუქცევიათ. ავადმყოფ ძნელაძეს საქმე გაუჭირდა. სიკვდილის წინად შვილები დაიბარა და უთხრა:

— ეს არის, ვთავდები, ვკვდები, აქ ბევრი ვეწვალე, ბევრი ვიტანჯე. ჩემის სჯულის გულისათვის დავკარგე ყველაფერი, ჩემი მამა-პაპის მამულები ოსმალებმა წამართვეს შარებით და მისცეს იმათ, ვინც ადვილად გათათრდნენ. მე თქვენ ყელები დამჭერით, ცალიერი გამიშვით, ჩემის გულისთვის ოსმალებმა თქვენც არაფერი მოგცეს, რადგანაც ჩემი ჯავრი სჭირდათ. ეხლა მე ვკვდები, ვკვდები დიდის მწუხარებით და ჩემის მამა-პაპის სჯულზე, რომელიც მე დიდის ტანჯვით შევინახე. ეხლა ჩემი მწუხარება ის არის, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემი დამარხვა, ვაი თუ ქრისტიანულის წესით არ მოხდეს, თქვენ გათათრებულები ხართ და თათრულად დამმარხავთო. სიკვდილისას ბევრი იტირა ამან, ბევრი ეხვეწა თავისს ნათესავებს, რომ ქრისტიანულად დამმარხეთო. ამათ ფიცი მისცეს, რომ მღვდელს მოვიყვანთ და ისე დაგმარხავთო. ამ და პირების შემდეგ ძნელაძე გარდაიცვალა.

მიცვალებულის ნათესავები წავიდნენ ართვინში და იქიდამ მღვდელი მოიყვანეს, მღვდელმა უწირ ულოცა და როცა მიცვალებული წაიღეს, მაშინ ზოგიერთმა ახალ გათათრებულებმა უყვირეს:

— მღვდელო, უნათე, მღვდელო, უნათეო და სხვანი ანასუნი იმის მამას, კოფაკ. წაიღეს და აი, ამ პატარა ეკკლესიაში დამარხეს. რა უჭირდა, ბატონო, რომ გათათრებულიყო, ან ჩვენ რაზე დაგვღუპა და იმოდენა მამულები რაზე დაკარგა, ჩვენ რად ჩაგვაგდო ამ დღეში და ან თვით რას იტანჯებოდა, ხომ ნახა, რომ გამჩენელ ღმერთის ბრძანებას ვერას უზამდა. ის არ გათათრდა, მინამ ცოცხალი იყო, აქა იქ თითო-ოროლა კაცს კიდევ ეკავა ქრისტიანის სჯული და ის რომ მომკვდარა, მის შემდეგ-კი მაჰახელში ერთი კაციც აღარ დარჩენილა, ყველა გათათრებულა და საქმეც დაწყნარებულა და მორჩენილა.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

მომავალ წელს, 25 ივნისს, შესრულდება ასი წელიწადი იმპერატორის ნიკოლოზ პირველის დაბადების შემდეგ. იმ დღისთვის დასრულებულ იქნება ძეგლი ქალაქ კიევში და დაბეჭდილი იქნება მრავალი მასალა იმპერატორის ბიოგრაფიისა და მისის მეფობის ისტორიისათვის. ამ მასალას აგროვებს და გამოსცემს მთავრობის მიერ 1861 წელს დანიშნული კომისია.

სახელმწიფო რკინის გზათა უწყებას გადაუდვია დიდი თანხა, რომლითაც განზრახულია ელევატორების აშენება.

გაზეთი „პეტერბურგის ფურცელი“ ამბობს, რომ ბუხარის ემირი დიდხანს აღარ დაბრუნდება სამშობლოში და რუსეთის მთავრობას სთხოვს, ადგილი აურჩიოს საცხოვრებლადაო; მის მაგიერ ქვეყანას მინისტრები განაგებენო.

სამხრეთ რუსეთში გლეხებს დაუარსებიათ სამიწათ-მოქმედო ასსოციაციები.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ავსტრიის ჟურნალ-გაზეთებს რომ დავუჯეროთ, დღითი-დღე ბულგარიის საქმეთა ვითარება თან და თან მწვავდება. საქმე იქამდის მივიდა, რომ ვენის გაზ. „ფრეი მონტასპრესს“-ში დაბეჭდილია:

სტოილოვმა პრინცს ფერდინანდს თხოვნა გაუგზავნა სამსახურიდგან გადადგომის შესახებ და ავსტრიის სატახტო ქალაქშიაც დიდი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ პრინცსა და აწინდელ სოფიის კაბინეტს შორის დიდი უთანხმოება არსებობს. სტოილოვის სამინისტროს ადგილს ზომიერ სლავოფილთა კაბინეტი დაიჭერსო.

ეს ერთი მხარე საქმისა, მეორე უფრო სერიოზულია.

სადიპლომატო კორპუსმა, ავსტრიის ჟურნალ-გაზეთების სიტყვით, გარეშე საქმეთა მინისტრს ნაჩევიჩს ენერგიული წინადადება წარუდგენა იმის შესახებ, რომ სტამბულოვის დასაფლავების დროს პოლიცია მეტად უდიერად ეპყრობოდა დამსწრე საზოგადოებასა; დასაფლავების დროს სერბიისა და რუმინიის ვიცე-კონსულების ცოლები წააქციეს, ხოლო საფრანგეთის კონსულის ც[illegible] შეურაცხყოფა მიაყენეს. ამბობენ, პოლიცია არავითარს საშუალებას არ ერიდებოდა, რომ არეულება და უსიამოვნება მოეხდინაო.

„ფრემდენბლატტ“-ი უფრო საყურადღებო ამბებს იუწყება სტამბულოვის დასაფლავების დროს მომხდარ არეულობის შესახებ. გაზეთის სიტყვით:

სერბიისა და რუმინიის კონსულნი მიწაზედ დასცეს და ხალხმა ფეხით გადათელა. ოსმალეთის ელჩი შეშინებული გაბრუნდა უკან, რომ მისს ოსმალურს ფესს ხალხის ყურადღება არ მიექცია და მტრულად არ მოჰპყრობოდნენ. ფილიპპოპოლის ავსტრიელს ვიცე-კონსულს ისე მაგრად დაარტყეს თავში რაღაც, რომ მაშინათვე უგონოდ შეიქმნა. საბერძნეთის კონსული ჯოხით გალახეს. ინგლისის ელჩი ფეხში დასჭრეს. მთავრობამ ყველა სახელმწიფოს კონსულებს შეატყობინა, რომ ფრთხილად ყოფილიყვნენ. უფრო მეტად შიშობენ რუმინიის მისსისათვის და საჭირო საშუალებანიც იხმარეს გასაფრთხილებლად, რადგანაც რუმინიის ელჩი კარგი მეგობარი იყო სტამბულოვისა. რუმინიის მეფემ კარლმა სტამბულოვის ქვრივს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა. ინგლისელები დიდად შეძრწუნებულები არიან სოფიის მცხოვრებთა

---

მას ჟამსა შინა, რომელიმე აქაური სვიმონა როსტოვში, ნახავდა, როგორ სთესენ კვალ-და-კვალ იქაური გლეხები კომპოსტოს, და, შინ რომ დაბრუნდებოდა, თითონაც გაიშენებდა ბოსტანს, მერე, იმის შემყურე, სხვებიც მოჰკიდებდნენ ხელს.

— ეს, დიაღ, მაგრე გახლავს, თქვენო აღმატებულებავ,—იძულებული იყო, დასთანხმებოდა წინამძღოლი: —ყველა ხელობა ჩვენში როგორღაც ალაგ-ალაგ იცის. აგერ რომ ღვთის თვალი ტრიალებს, ეგერ, იქვე, გვერდით, არაფერი არაა. წარმოიდგინეთ, ამ პოზდეევკას თან ახლავს მეზობლად სოფელი რაზდერიხა. იქ, ბოსტანი არ არის, წამლადაც არ გაუგონიათ, სულ ერთიანად მატყლის მჩეჩავია. ზაფხულში ზიარად, როგორც გლეხკაცის წესია, მიწას ამუშავებენ, ზამთარში-კი გაიფანტებიან აქეთ-იქით და სჩეჩავენ მატყლს. არც გახლავს გუბერნატორის გამოწყობილი: ყოფილა გლეხი აბრამა კოლიაზინში და იქიდამ შემოუღია.

— წადი ახლა და გაიგე. კომპოსტო, კიტრი, მატყლის ჩეჩვა, წინდები, ქილობი... ყველაფერი, სუყველაფერი მცხოვრებლების ნაღვაწია! როგორ გგონიათ, თქვენში, როსტერიაევკაში, სამრეკლო ვინ ააშენა? გუბერნატორმა? სულაც არა, ვაჭარმა პოლიკარპე პარალიჩევმა ააშენა, გუბერნატორი ოღონდ კურთხევას დაესწრო და ხაჭაპური მიირთვა.

— ესეც მართალია.

— პერესლაველ თრისას დაშაშხვა პირველად ვისი შემოღებულია?

— ამასაც მართალს ბრძანებთ, გუბერნატორს არ შემოუღია.

— ახლა კალძახისა და ზუთხის შემზადება თქვით, ხაჭაპურები, შენ ხარ ჩემი ბატონი, ფელამუში? ესეც გუბერნატორის შემოღებულია? ა?

— მოითმინეთ, თქვენი ჭირიმე! ბოსტნეულსა და შექამანდს გარდა ხომ სხვა გახლავს საკმაო რამ საგანი...

— მაგალითად?

— გადასახადი, მაგალითად, ბეგარა... ამათი აკრება, ახვეტა...

— რას ჰქვიან გადასახადი და ფოსტის ფული? ხომ გაგიგონიათ?

— გადასახადი, თქვენ ხართ ჩემი ბატონი... ასე ვთქვათ, მომასწავებელია... ესე იგი... კუთვნილებისა...

— მოჰყვა წინამძღოლი, მაგრამ წაუბორძიკდა ენა და გაჩუმდა.

— ჰო, და საქმეც ეს გახლავს, რომ „მომასწავებელიაო“... როგორ გგონიათ, სასიამოვნოა ეს „მოსწავება“? ერთი დახედეთ! გადასახადის ასაღებად მობძანებულარ! აჰ, რა საამური საქმეა! მე თქვენ გითხრათ, მურომისებურ კიტრის გაშენება არ ასწავლოთ, ან ტამბოვისებურ ლორის და შაშხვის საიდუმლოება თან არ ჩამოიტანოთ... გადასახადის აკრებაო? ან-კი როგორ განვახორციელებ, ერთი გკითხოთ, ამ „კუთვნილების მოსწავებას,“ თუ-კი, მაგალითად, პოზდეევკელ გლეხებს კომპოსტო მოუცდათ? რისი მაქნისი გახლავარ მაშინ? გავუგზავნი მაზრის უფროსებს მიწერილობას, მეტი არაფერი. მაზრის უფროსები აიკლებენ გუბერნიას ყვირილით, იმათგანაც მეტი არაფერი გამოდნება. ყოველ შემთხვევაში ძალას ვატან და იძულებულ ვყოფ და არ ვიცი-კი, რისთვის. კიჟინა გააქვს მაზრის უფროსსაც და არც იმან იცის, რისთვის. რაო, რა მოხდაო? რა იქნა, სად გადიკარგა ხაზინის გადასახადი? მოუსავლობამ მოინელა გლეხი, თუ ლოთობამ მოსწყვიტა წელი, სოფლის ჭამიამ წაავლო კბილი, თუ გლეხმა თავი აიგდო და ფულის შესაგროვებლად დარდუბლის კიდობანი გაიჩინა? აი, რამდენი სხვა-და-სხვა ფერი შემთხვევაა შესაძლებელი და სხვაც კიდევ მრავალი! ჩვენ-კი ვფაცაფუცობთ, ვცემთ კიჟიხას, ყველაფერი ფეხებზედ გვკიდია: გადასახადი-კი იყოს და თუნდ თავში ქვა იხალო.

— დიაღ, მაგას მართალს ბძანებთ. კიჟინასაც დასცემენ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, კიდეც აღრიალდებიან, პერანგს ქვეშაცკი იკადრებენ ჩახედვას, მაგრამ რა გამოვა ამისაგან, თითონაც არ იციან!—დაღონებით დაჰკრა კვერი წინამძღოლმა.

ორივე მოსაუბრე ჩაფიქრდა ერთ წუთას. პირველი მოვიდა გონს წინამძღოლი. ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ არ გასტეხოდა გული და მზად იყო, შეჰკითხებოდა: ხალხის ზნეობის შესახებ რაღას იტყვითო? ან ეს განათლება ვარო? მეცნიერებაო? ხელოვნებაო?—მაგრამ გუბერნატორმა, თითქო მიუხვდაო აზრს, ისეთის მოქუშულის თვალით გადახედა თავისს მოსაუბრეს, რომ წინამძღოლმა მეტი ვეღარ მოახერხა და ძლივს წარმოსთქვა:

—ხალხის საზრდოებაო?

—არც-კი გრცხვენიათო?—პასუხის მაგიერ შეეკითხა და გაუყარა თვალი თვალში გუბერნატორმა.

წინამძღოლი გაწითლდა. გაახსენდა წლის დამდევს სოფელ-სოფელ თვისი მოგზაურობა და შერცხვა.

—აბა, მაშ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი...

—წამოიძახა იმან, მაგრამ უკებ გაახსენდა რაღაც; მაცალეთ, თქვენი ჭირიმე! აი, საგანი—დახმარება საზოგადოების შესაკავშირებლად, შესაერთებლად!

—რაო, რომელის საზოგადოების შეერთებაო?

—აქაურის საზოგადოების, ჩემო ბატონო.

—ჰმ... მაშ, თქვენ გგონიათ, რომ მე ვაერთებ-ვაკავშირებ აქაურ საზოგადოებას, არა?

—თქვენც, თქვენო აღმატებულებავ, და თქვენი მეუღლეც... ლუკერია ივანოვნა.

—ჰო, ლუკერია ივანოვნა... შეიძლება, მე-კი... უკაცრავად! მე თავი დამანებეთ! ან-კი ვის სჭირია, ვის ეპიტნავება ეს საგანი... საზოგადოების კავშირი... მერე კიდევ აქაურის საზოგადოების კავშირი?!

მესაუბრეებმა უკანასკნელად გაჰკმიდეს ენა და, შეიძლება, ცუდს გუნებაზედაც დამდგარიყვნენ, რომ დროზე არ მოსწრებოდათ გუბერნიის სამართველოდამ ხაზინადარი და არ ეხსნა გასაჭირიდამ.

ეს გახლდათ თვის 30 რიცხვი. ამ დღეს, როგორც მოგეხსენებათ, ოდესმე არიგებდნენ ჯამაგირს, და ყველა უწყების ხაზინადრები ეახლებოდნენ ხოლმე უფროსებს და აახლებდნენ ფულის დავთრებს, სადაც ხელის მოწერით გასწორდებოდა ხოლმე ანგარიში.

გუბერნატორმა მიიღო ხაზინადრიდამ ერთი კეცა ფული, აუჩქარებლად გადასთვალა, დაიდვა წინ და დავთარს ხელი მოაწერა.

— ახლა და „მაგის“ თაობაზედ რას ბრძანებთო?—იხუმრა წინამძღოლმა და მიუშვირა თითი კეცა ფულს. „მაგის“ აღება როგორ-ღა უნდა ვიგულისხმოთო?..

— ჰო...ო...ო...ესე იგი „ამის“ თაობაზედ?—გაუმეორა კითხვა თითქო ყუათზედ მოსულმა გუბერნატორმა.

— დიაღ ჩემო ბატონო! სწორედ ე «მაგის» თაობაზედ!

— ჰმ...ეს?...ეს...ჯილდო გახლავსო!

გრ. ვოლსკი.

ესეთის საქციელით. სხვათა შორის, „ტაიმს“-ი შენიშნავს, რომ

სოფიის მცხოვრებლებმა, რომელნიც უფრო განათლებულად ითვლებიან მხარეში, ბულგარელებს ისეთი სამარცხვინო ლაქა წასცხეს, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ველარაფრით მოიცილებენ.

„სტანდარდი,“-ი ამბობს, რომ

სტამბულოვის დასაფლავების დროს მომხდარმა უწესოებამ მარტო ზრდილობის წესი-კი არ დაარღვია,—მან შეურაცხჰყო უცხო სახელმწიფონიც მათის წარმომადგენლების შეურაცხ-ყოფით. სტამბულოვი, თუნდაც დამნაშავე იყოს ყველა იმაში, რის ბრალსაც მას სდებენ, მაინც ღირსია პატივისცემისა, რადგანაც ყველა მისი მოქმედება, თუნდაც ამითი მას თავისის უფლებისათვის გადაეჭარბებინა, მისის აზრით ქვეყნის სასარგებლოდ იყო განზრახული და გამოწვეული. ეს უწესოება დიდად სამარცხვინოა და დანაშაული ამაში მიუძღვით მინისტრთ, რომელთაც ვერ შეიძლეს მისი თავიდგან აცილება.

ხოლო რაც შეება ფერდინანდს, მისი სხვა ქვეყანაში ყოფნა ერთის მხრივ იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობა უნდა მიეღოს მას. მაშ რად წავიდა სხვა ქვეყანაში? მისი ვალია, სოფიაში იყოს და, თუ მართლა ძვირად უღირს ბულგარიის სახელი, უნდა სცდილობდეს მკვლელობის ჩამდენნი აღმოაჩინოს და დასაჯოს. საჭიროდ ვრაცხთ მოვაგონოთ პრინცს, რომ მისი ბულგარიის მთავრად აღიარება მარტო პეტერბურგს არ შეუძლია და ამისათვის საჭიროა აგრეთვე ევროპის დანარჩენ სახელმწიფოთა თანხმობა.

პრინცესა ლუიზა კობურგელისა და მისის შვილის კარლსბადში წასვლამ პრინც ფერდინანდთან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. «ბერლინერ ტაგბლატტ»-ი ამტკიცებს, რომ

პრინცესა ლუიზას ქმარი მხოლოდ აგვისტოს შუა რიცხვებში უნდა ენახა და ისიც ებენტალში და არა კარლსბადშიო. ამ მოულოდნელს მგზავრობას აზრად შემდეგი აქვს: ან მარტოკა დაბრუნდეს იგი ბულგარიაში, ან არა-და ტახტს თავი დაანებოს. ხოლო რაც შეეხება პრინცესასა და მისს შვილს ბორისს, პრინცესამ გარდასწყვიტა, არას გზით არ დაბრუნდეს იგი ბულგარიაში.

—

აი რას ამბობს რუსული „სავაჭრო-სამრეწვ. გაზ“-ი კავკასიის რკინის გზის წეს-რიგის შესახებ, რომელმაც რკინის გზის ძირეული წესი შეარყია იმ აზრით, რომ საგზაო ფასის დაკლება ერთი-ორად გაამრავლებს მოგზაურთა რიცხვსაო.

კავკასიის რკინის გზის გაყვანის დროს განზრახვა ჰქონდათ საგზაო ფასი მეტი დაეწესებინათ, რომ დანახარჯი ფული როგორმე ამოეზღოთ. ამიტომ გადასწყვიტეს ამ გზით მოგზაურთათვის და გადასატან საქონელზედ 50 პროცენტით მეტი ფასი დაედოთ სხვა გზებთან შედარებით.

მომეტებულს ფასს დიდად უჩიოდნენო,—ამბობს გაზ. «ნოვოე ვრემია», და ამიტომ როდესაც რკინის გზა ხაზინაში გადავიდა, სურამის გვირაბი გაიყვანეს და ექსპლოატაცია გაიაფდა, გადასწყვიტეს საგზაო ფასი შეემცირებინათო. მაგრამ, როგორც „სავაჭრო-სამრეწვ. გაზ“-ი ამბობს,

ამ ცდამ პირველს წელიწადს არაფერი სანუგეშო ნაყოფი მოიტანა: რკინის გზამ მოგზაურთა მატარებლებზედ 166,000 მან. იზარალა. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ რკინის გზის კონდუქტორები ბოროტად ხმარობდნენ თვისს უფლებას და არავითარს საშუალებას არ ზოგავდნენ, რომ უბილეთოდ ეტარებინათ მგზავრები. —რკინის გზის მმართველობამ შეიტყო აქედგან, რასაკვირველია, რომ შემოსავლის შემცირება ფასის დაკლებაზედ სრულიადაც არ იყო დამყარებული და ამისი მიზეზი კონდუქტორების ბოროტ-მოქმედება იყო. და მართლაც შემდეგს წელში, 1894 წ., როდესაც ეს მათი ბოროტ-მოქმედება შესამჩნევად აილაგმა, რკინის გზას მგზავრები მოემატაო“.

სახელდობრო,—ამბობს გაზეთი „ნოვოე ვრემია“,—მოგზაურთა რიცხვმა 100,000-იმატა, რომელნიც 1893 წელსაც ამდენითვე მეტნი იქნებოდნენ, მაგრამ მათი საგზაო ფული-კი ხაზინას ასცილდა და კონდუქტორების ჯიბეში ამოყო თავიო.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** უკანასკნელს დროს საფრანგეთის გაზეთები ბევრსა სწერენ მადაგასკარის შესახებ. როგორც მკითხველებმა უწყიან, მადაგასკარის მკვიდრნი აჯანყდნენ და ჰსურთ თავიდგან აიცილონ საფრანგეთის მფარველობა. საფრანგეთმა იქ დიდი ექსპედიცია გაგზავნა. პირველისავე ნაბიჯის გადადგმაზედ ექსპედიციის საქმე ცუდად წავიდა და ძალიან გაუჭირდა წინსვლელობა. ექსპედიციის უფროსი ამბობდა, რომ ივლისამდე ის მთელს კუნძულს დაიპყრობს, მაგრამ ჯერ მესამედი მანძილიც არ გაუვლია. გაზეთები სამხედრო სამინისტროს აბრალებენ საქმის ცუდად დატრიალებას და შიშობენ ფუჭად არ ჩაიაროს საფრანგეთისათვის მადაგასკარის წინააღმდეგ გალაშქრებამაო.

—

**გერმანია.** ბისმარკის მდგომარეობა ძლიერ აფიქრებს და აშინებს მისს ოჯახს და მახლობელთ. ბისმარკი შეიპყრო მელანხოლიამ, ხანდისხან მისი ლაპარაკი და მოქმედება აკვირვებს და აწუხებს ყველას. ნამდვილი არ იციან გარეშეებმა, რადგანაც მახლობელთ სურთ დაჰფარონ მისი ავადმყოფობა.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძოთ უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ ქ-ნ მ. ლოლაძის ასულს, ელ. ორჯონიკიძეს და ბ-რბარე აბაზაძეს, რომელთაც დიდი შრომა მიიღეს სურამის სახალხო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ საცეკვაო საღამოს გამართვაში და შესწირეს ზემოხსენებულს წიგნთ-საცავს სხვა-და-სხვა ქართული წიგნები, აგრეთვე ბ-ნ ალ. რჩინაშვილს და სხვა პირთ, რომლებმაც შემოსწირეს სხვა-და-სხვა ქართული წიგნები. სასურველია, ამათს მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ და არ დაიშურონ მცირედი შეწირულება ამ ჯერად ღარიბ წიგნთ-საცავისათვის. საცეკვაო საღამოდგან შემოვიდა 94 მან, 40 კ., დაიხარჯა 16 მ. 90 კაპ. დარჩა წმინდა შემოსავალი 77 მ. 50 კ.

წევრნი დამფუძნებელნი: ა. მაჭარაშვილი, მ. მურვანიშვილი, მ. მუჩაიძე.

—

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, თქვენს პატივ-ცემულ გაზეთ „ივერიის“ მახლობელს ნომერში უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პატივ-ცემულ პირთ, რომლებმაც კეთილ-ინებეს და მოაწოდეს თავიანთი წვლილი ქუთაისის ახალ დაარსებულ უფასო სახელოსნო სამკითხველოს. აი სია შემომწირველთა:

ისიდორე კვიცარიძემ 29 ცალი ქართული და 37—რუსული წიგნი; აზ. ექვთიმე ივანეს ძე ხელაძემ 55 ცალი ქართული წიგნი; ივანე შაუთიძემ 5 ცალი ქართული წიგნი ყდით; ბენედიქტე ბაკურაძემ 1 ცალი რუსული წიგნი; გრიგოლ კოჩრეიძემ 7 ცალი ქართული ჟურნალი „იმედი“ და 3 ცალი რუსული წიგნი; პორფილე მეფარიშვილმა 14 ცალი ქართული და 11 ცალი რუსული წიგნი; სტეფანე ხეჩინოვმა 4 ცალი ქართული წიგნი და ელიზბარ შანიძემ 3 ცალი ქართული წიგნი.

სახელოსნო სამკითხველოს დამაარსებელი და გამგე ფილიპე ხელაძე.

## პეტერბურგის ბირჟა, 18 ივლისი.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,40 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | 210 | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | — „ | — „ | 100⅜ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 102½ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | | — „ |

### „ივერიის“ ფოსტა.

**დ. ცხინვალი. ი. ც—ძეს.** თქვენი კორესპონდენცია „დიდ-ლიახვის ხეობა“ შესახებ იქაურ ადგილების დასახლებისა ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო არ დაიბეჭდება.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქავანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე[illegible] დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება

„როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

დაზღვევა სიცოცხლისა

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);

2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);

3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

დაზღვევა ცეცხლისაგან

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

დაზღვევა ტრანსპორტებისა,

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთება მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემებისადგურებზედ. 50—6—40



დამზღვევი საზოგადოება

„ირკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქ ანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის სადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა[illegible] ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში (100—721—ა)